6	სხვა რეზერვები			
	სულ საკუთარი კაპიტალი		3 507 615	2 208 235
	სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		9 347 771	9 849 091

შპს აზიმუტი

2018

2017

ფორმა N2- საქმიანობის შედეგების (მოგება/ზარალის) კონსოლიდირებული ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის		საანგარიშ გეზო პერიოდი	წინა საანგარიშ გეზო პერიოდი
ნეტო ამონაგები	9	6 602 047	6 261 938
საქონლის გაყიდვიდან		41 899	1 196 962
მომსახურების გაწევიდან		538 214	327 670
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		6 021 934	4 737 306
სხვა			

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10	(3 335 226)	(3 482 806)
საწყისი მარაგები		(3 395 236)	(4 467 188)
მარაგების შესყიდვა		(1 611 773)	(1 954 904)
გადამუშავების დანახარჯები		(1 321 497)	(455 950)
საბოლოო მარაგები		2 993 280	3 395 236
საერთო მოგება		3 266 821	2 779 132

სხვა შემოსავალი		158 442	746 842
დასაქმებულთა ანაზღაურება		(671 895)	(581 797)
ცვეთა და ამორტიზაცია		(722 877)	(561 068)
საპროცენტო შემოსავალი:			
საპროცენტო ხარჯი :		(207 644)	(233 427)
იჯარის ხარჯი		(12 000)	(12 475)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	*	(444 389)	(2 552 260)
სულ საოპერაციო ხარჯები	11	(1 900 363)	(3 194 185)

საოპერაციო მოგება		1 366 458	(415 053)
--------------------------	--	------------------	------------------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		(26 521)	73 233
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)			
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობით		1 339 937	(341 820)
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)		1 339 937	(341 820)

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რევერცი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		1 339 937	(341 820)
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)			

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		2 208 235	2 938 986
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			(186 706)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		1 299 568	(402 613)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		(188)	(141 432)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		3 507 615	2 208 235

შპს აზიმუტი

2018

2017

ფორმა N3 - 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	საანგარიშ გეზო პერიოდი	წინა საანგარიშგე ზო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2 512 256	1 307 333
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1 256 072)	(1 204 444)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(1 255 933)	(188 003)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	251	(85 114)
სავალუტო კურსის ეფექტი	(21 908)	(9 070)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	54 170	148 354
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	32 513	54 170

ჯგუფი

შ.პ.ს. "აზიმუტი" (ს/კ 208146095) - მშობელი საწარმო

შ.პ.ს „აზიმუტი 2014 (სკ 202886207) - შვილობილი საწარმო

სააღრიცხვო პოლიტიკა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

ზოგადი ინფორმაცია

ჯგუფი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 70 ბ

ჯგუფი შედგება „კომპანიისაგან“, სრულ საკუთრებაში მყოფი შვილობილი კომპანიისაგან შპს „აზიმუტი 2014“. მისი ძირითადი საქმიანობაა მშენებლობა, პროექტირება, დეველოპმენტი

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით

აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ

ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური

ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის

შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვი პოლიტიკა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მსს ფასს ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

საზოგადოება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანიის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე/გრძელვადიან დაყოფას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საზოგადოება წარმოადგენს ფუნქციონირებად ორგანიზაციას და ახლო მომავალში არ იგეგმება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანად არის წარდგენილი ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის ფინანსური შედეგების და ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ. ყველა ეკონომიკური მოვლენა შეფასების და აღიარების კრიტერიუმების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი.

ანგარიშგების მომზადების დროს ასევე გამოყენებულია ბუღალტრული ანგარიშგების მეთოდოლოგიით და ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც დამუშავების პროცესშია და დამტკიცებული ანგარიშთა გეგმა.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება „კომპანიისა“ და მისი სრულ საკუთრებაში მყოფი შვილობილი საწარმოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებებისაგან. ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდაჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი, და ხარჯი.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენდი მაშინ აღიარდება, როდესაც ძალაში შევა ჯგუფის უფლება დივიდენდის მიღების შესახებ. იგი აისახება სხვა შემოსავლის მუხლში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების

პაკეტი მოიცავს ნაერთ ინფორმაციას:

1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშს (ბალანსი);
2. საქმიანობის შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშს
3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშს
4. ახსნა-განმარტებით შენიშვნებს

შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, საზოგადოება იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) რომელის მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

საიჯარო აქტივები

იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა, თუ მოიჯარეს გადაეცემა მესაკუთრეობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, გადასახდელი საიჯარო ვალდებულებები აღიარდება, როგორც მოგება ან ზარალი წრფივი მეთოდით საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

საანგარიშგებო პერიოდი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია:

2018 კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

წინა შესადარისი საანგარიშგებო პერიოდი -

2017 კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში ორგანიზაცია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ორგანიზაციის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ორგანიზაცია იყენებს ქართულ ლარს.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც ორგანიზაციის ბალანსზე აღირიცხება, წარმოდგენილია დებიტორული დავალიანების, ფულადი სახსრების და მისი ექვივალენტების, და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული საოპერაციო დანახარჯებით, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ორგანიზაცია ფინანსურ ინსტრუმენტებს ბალანსში ასახავს მაშინ, როდესაც ორგანიზაცია გახდება ფინანსური ინსტრუმენტთან დაკავშირებული გარიგების მონაწილე.

ფინანსური ინსტრუმენტის ან ფინანსური ინსტრუმენტის ნაწილის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ორგანიზაცია კარგავს კონტრაქტით გათვალისწინებულ უფლებებს ან დაფარავს ინსტრუმენტთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. ფინანსური

აქტივის აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა მიღებულ ან მისაღებ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღირიცხება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ობიექტური სამხილი შესაძლოა იყოს კონტრაგენტის ფინანსური პრობლემები, ხელშეკრულების დარღვევა, მსესხებლის გაკოტრების ალბათობა, ფინანსური აქტივისთვის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური პრობლემების გამო და სხვ.

მხოლოდ გაცემულ სესხებისა და დებიტორული დავალიანებისთვის საბალანსო ღირებულება მცირდება საექვო ვალების რეზერვის გამოყენებით და იმ თანხების შემდგომი ამოღება, რომელთა ჩამოწერაც მოხდა, კრედიტდება საექვო ვალების რეზერვში.

საანგარიშო პერიოდში საწარმოში საექვო ვალების რეზერვი არ შექმნილა. წინა საანგარიშგებო პერიოდში უიმედო დებიტორული ვალები ჩამოწერილ იქნა ზარალზე, ხოლო ვადაგადაციკებული კრედიტორული დავალიანება აყვანილ იქნა მოგებაზე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

ასეთ ოპერაციებს საანგარიშგებო პერიოდში ადგილი არ ქონია

შეწყვეტილი ოპერაციები და გასაყიდად გამიზნული აქტივები შეწყვეტილი ოპერაციები

ასეთ ოპერაციებს საანგარიშგებო პერიოდში ადგილი არ ქონია

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი

ძირითადი და არამატერიალური აქტივები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც

პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების

აღრიცხვა უნდა გახორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის

თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

შენობა - ნაგებობები 2-5% წრფივი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 10-50 % წრფივი

შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა, ან სხვა ეკონომიური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება წმინდა ღირებულებით. ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა; შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მისი წყაროების მიხედვით; ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით;

გადასახადი

გადასახადების გაანგარიშება და გადახდა განხორციელდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, და აისახა ანგარიშგებაში საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად. საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები გათვალისწინებულია ეკონომიკური

საქმიანობის უფლების მეორე ერთეულების მიერ აქტივების და ვალდებულებების შეფასებისას.

მოგების გადასახადი

საზოგადოება მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და სხვა დანიშნულებით გამოყენებული გაუნაწილებელი მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981 მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან. საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საწარმოს აღარ აქვს დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ქონებას, რომლებიც ადასტურებენ საზოგადოების აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ქონება კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით და ქონებრივი შენატანით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ასახულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები ასევე დამატებით მოიცავს ისეთ ინფორმაციებს, რომლებიც არაფინანსური ხასიათისაა და არ არის არც ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შემადგენელი ნაწილი, თუმცა, საჭიროა ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური ხასიათის ინფორმაციის ასახსნელად.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრძელვადიან და მოკლევადიან მუხლებად და სტრუქტურა შედგენილია ლიკვიდობის კლებადობის მიხედვით. აქტივები ძირითადად შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით.

1. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და ნაღდ ფულს სალაროში. ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბანკო ანგარიშზე და სალაროში ირიცხება 31951 ლარი.

აქტივები	31.12.2018	31.12.2017
ნაღდი ფული	1	1
საბანკო ანგარიში	32512	54169
სულ	32513	54170

2. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

ფინანსური აქტივები და მოთხოვნები შეფასებულია ნომინალური ღირებულებით. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები უმეტესწილად წარმოქმნილია წინასწარი გადახდებით ბიუჯეტიდან და გაწეული მომსახურების შედეგად. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები წარმოდგენილია მოკლევადიანი ფინანსური აქტივების და მოთხოვნების სახით. ფინანსური აქტივის მიღების ან გასვლის ღირებულებას წარმოადგენს მისი გაცვლის ღირებულება.

მოთხოვნებს და დებიტორულ დავალიანებებს გააჩნია შემდეგი სტრუქტურა: დებიტორების აღრიცხვის ჟურნალში აღირიცხება ანალიზური აღრიცხვის მიზნებისათვის დებიტორი ორგანიზაციების დასახელებები, დებიტორული დავალიანების წარმოშობის წლები.

3. დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები

	31.12.2018	31.12.2017		
სავაჭრო მოთხოვნები	13862	51316		
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	1972	3104		
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ		630		
მისაღები პროცენტები	0	0		
წინასწარ გადახდილი გადასახადები	147662	145885		
სულ	163496	200935		

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

2. ინვესტიციები და სხვა გრძელვადიანი აქტივები

	31.12.2018	31.12.2017		
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში				
ინვესტიცია მერკავშირე საწარმოში	1192180	1192180		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		5500		
სულ	1192180	1197680		

3. მატერიალური მარაგები

მატერიალური მარაგები კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში წარმოდგენილია შეძენის ღირებულებით და დამზადების თვითღირებულებით. მატერიალური მარაგების შეფასებისას, გამოყენებულია მარაგების აღრიცხვის საშუალო შეწონილი მეთოდი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 2993280 ლარს.

მარაგები	31.12.2018	31.12.2017
ნედლეული და მასალები	93980	118710
მზა პროდუქცია	1701946	2079173
გასაყიდად განკუთვნილი საქონელი (ფართები და სხვა)	1052904	1052904
სხვა	144449	144449
სულ	2993279	3395236

4. ძირითადი საშუალებები და

5. საინვესტიციო ქონება

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანად ანადგარ ები	ავიჯი და ოფისის მოწყ	სატრან სპ. საშ.	სხვა	სულ
31 დეკ. 2016	234617	1182767	1532310	20231	706913	76231	3753069
შეძენა			817344	15480		11280	844104
შემოსვლა (საკ. წარმოების, გადასვლა მზა პროდუქციიდან)	72045	769399					841444
შემოსვლა /გასვლა(დაკავშირ ებული ოპერაცია)	337380		-97190				240190
ჩამოწერა			117524			660	118184
გადასვლა საინვესტიციო ქონებაში	72045	762987					835032
მიმდინარე ცვეთის ხარჯი		65550	331633	6271	141383	16073	560910
31 დეკ. 2017	571997	1123629	1803307	29440	565530	70778	4164681
შეძენა			678473	4715	21284	12005	716477
საინვესტიციოდან გადმოსვლა	72045	762987					835032
გაყიდვა			3014		9022		12036
ჩამოწერა			16334				16334
მიმდინარე ცვეთის ხარჯი		61230	555451	7722	71571	26641	722615
31 დეკ. 2018	644042	1825386	1906981	26433	506221	56142	4965205

6. სხვა მატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა		
31 დეკ. 2016	1596		
შემენა			
გაყიდვა			
ჩამოწერა			
მიმდინარე ცვეთის ხარჯი	239		
31 დეკ. 2017	1357		
შემენა			
გაყიდვა			
ჩამოწერა			
მიმდინარე ცვეთის ხარჯი	261		
31 დეკ. 2018	1096		

7.8. კრედიტორული დავალიანება და სხვა ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხების ღირებულებას. ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა 1 წელზე მეტია, კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ვადაგადაცილებულ დავალიანებებზე (კრედიტორული დავალიანებები, რომელიც არ არის დაფარული ანგარიშგების თარიღისთვის). საერთო კრედიტორული ვალის ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით შეადგენს 5840156 ლარს.

7. ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები	31.12.2018	31.12.2017
სავაჭრო ვალდებულება	168634	319837
ფინანსური იჯარის ვალდებულება		65901
ვალდებულება თანამშრომეთა მიმართ	18349	60
საგადასახადო ვალდებულებები	10893	38769
გადასახდელი პროცენტი	19808	5200
გადასახდელი დივიდენდი	1490812	2075250
მიღებული ავანსები	2029875	2461371
ვალდებულებები ერთობლივი საქმიანობის მონაწილეთა წინაშე	40184	181756
სხვა (დასაბრუნებელი თანხა)	10512	10512
სულ	3789067	5158656

7. გრძელვადიანი სესხები

გრძელვადიანი ვალდებულებები წარმოდგენილია გრძელვადიანი სესხების სახით და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2051089

	31.12.2018	31.12.2017
გრძელვადიანი სესხები	2051089	2482200

საქმიანობის შედეგების კონსოლიდირებული ანგარიშგება

შემოსავლების აღიარება ხდება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში, თუ მთლიანი ეკონომიკური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშობა ორგანიზაციის

ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, და ამ ოპერაციის შედეგად იზრდება საკუთარი კაპიტალი, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტირების გარეშე.

8. შემოსავალი

	2018	2017
შემოსავლები საქონლის გაყიდვიდან	41899	1196962
შემოსავლები მომსახურების გაყიდვიდან	538214	327670
შემოსავლები სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	6021934	4737306
სულ	6602047	6261938

ხარჯების აღიარება

ორგანიზაცია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. ხარჯის აღიარება ხდება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

9. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2018	2017
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება:	3335226	3482806
მარაგები პერიოდის დასაწყისში	3395236	4467188
შესყიდვების ხარჯები	1611773	1954904
გადამუშავების დანახარჯები	1321497	455950
მარაგები პერიოდის ბოლოს	2993280	3395236
საერთო მოგება	3266821	2779132

ხარჯების აღიარება

ორგანიზაცია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. ხარჯის აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

11. სხვა საოპერაციო და არა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯები

		2018	2017
სხვა შემოსავალი (კრედიტის ჩამოწერა)		154 081	344 340
სხვა შემოსავალი (ჯარიმა, ზარალის ანაზღაურება და სხვ)		4 338	60 128
ძირითადი საშუალების გასვლით მიღებული შემოსავალი		23	342 374
დასაქმებულთა ანაზღაურება		(671 895)	(581 797)
ცვეთა და ამორტიზაცია		(722 877)	(561 068)
საპროცენტო შემოსავალი:			
საპროცენტო ხარჯი :		(207 644)	(233 427)
იჯარის ხარჯი		(12 000)	(12 475)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	11*	(444 389)	(2 552 260)
სულ საოპერაციო შემოსავლები და ხარჯები		(1 900 363)	(3 194 185)
საოპერაციო მოგება		1 366 458	415 053

გამიფრულია

11*. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2018	2017
დაზღვევის ხარჯი	25582	27513
ფიზიკური პირისგან მომსახურება (ერთჯერადი)	4825	26660
საოფისე-სამეურნეო (დასუფთავების და სხვა) ხარჯები	10470	10582
საკანცელარიო ხარჯი	1569	2358
კომპიუტერის ხარჯები	631	2372
სარეკლამო მომსახურების	498	6981
სანოტარო მომსახურების	10	186
კომუნალური ხარჯები	26043	34506
საერთო დანიშნულების საწვავის და სხვა ხარჯი	16223	20139
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	7500	9525
საგადასახადო ხარჯი	44332	38858
საბანკო ხარჯი	26329	6887
მივლინების ხარჯი	14304	50504
საერთო დანიშნულების რემონტის და ექსპლუატაციის ხარჯი (მას	24306	20042
საერთო დანიშნულების სარემონტო და სხვა მომსახურების ხარჯი	8465	11778
წარმომადგენლობითი ხარჯი		387
საშუამავლო მომსახურების ხარჯი		54750
საპროექტო და სხვა მომსახურების		6945
საჯარო სსიპ მომსახურების		2143
სხვადასხვა	9372	6534
ვებგვერდის		8323
სატერმინალ მომსახურება	2073	802
მიწოდების ხარჯები	31878	
დღგ-ს ხარჯი პროპორციული ჩათვლიდან		3005
მასალის ხარჯი		8053
ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ხარჯი	16334	118185
ხელშეკრულების ცვლილება,პირობის დარღვევა,ჯარიმა,საურავი	173645	
უიმედო მოთხოვნის ჩამოწერის ხარჯი		2074242
სულ	444389	2552260

კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოების კაპიტალი შეადგენს 3507615 ლარს

	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო კაპიტალი	აკუმულირე ბული მოგება	კაპიტალი სულ
2017წ 1იანვარი	403000	139639	2396347	2938986
წლიური მოგება			-341820	-341820
გაცემული დივიდენდი			-186706	-186706
სხვა		-139639	-62586	-202225
2018წ 1 იანვარი	403000	0	1805235	2208235
წლიური მოგება			1339937	1339937
გაცემული დივიდენდი		0	0	0
სხვა		0	-40557	-40557
2018წ 31 დეკემბერი	403000	0	3104615	3507615

პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო საიჯარო ვალდებულებები - კომპანია, როგორც მეიჯარე

2017 - 2018 წლის წლებში, საზოგადიებამ გააფორმა საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებები. იჯარის აღნიშნული ხელშეკრულება და მისი მოქმედების ვადა არის 1 წელზე მეტი. საზოგადოებას იჯარის სახით პერიოდულად გაქირავებული აქვს ფართები და სამშენებლო ინვენტარი.

მიღებული სესხები

ქვემოთ მოცემულია მიღებული სესხები პერიოდის ბოლოსთვის:

	31.12.2018	31.12.2017
სხვა გრძელვადიანი სესხები (საწარმოს ხელმძღვანელისგან)	251715	166186
გრძელვადიანი სესხები ბანკიდან	1799374	2316014
სულ მიღებული სესხები	2051089	2206012

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.